

რედაქცია

მელი მონოის ქუჩაზე, პეტრე ჩაიგვტავის სახლში.

ხელის მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлиси. Въ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 მან., და ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოცემის კვირისგან, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, ქსეპურს და სხვა ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 10 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა და დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

„დროების“ ხელის-მოწერა

წასრულ ნომერში დაბეჭდილი იყო რედაქციის განცხადება, რომ ეინც ამ თვის დამლევამდე გაზეთის ფულს არ შემოიტანს, იმათ გაზეთის გაგზავნა მოესპობათო.

როგორც იქვე იყო ნათქვამი, ჩვენ იძულებული ვიყავით ამ გვარი განცხადება დაგვებეჭდა და ეს გადაწყვეტილება გვეცნობებოდა იმ ხელის-მოწერლებისათვის, რომელნიც ან სულ არ გაზეთიან გაზეთის ფულსა და ან გაზეთიან, მაგრამ თავის დროზედ არა.

არსად, არც ერთ ქვეყნის ლიტერატურაში არ არის ისეთი უხეირო და უთავბოლო დამოკიდებულება გაზეთის გამომცემლებსა და ხელის-მოწერლებს შუა, როგორც ჩვენში. იმ ანგარიშიდამ, რომლის გამოცხადებას ჩვენ ამ წლის დამლევს ვაპირებთ და რომელშიაც მოყვანილი იქნება — თუ სად რამდენი ხელის-მოწერი გვეყავს და ამათში რამდენს შემოუტანია და რამდენს არა ხელის-მოწერის ფულები, — ამ ანგარიშიდამ მკითხველი დაინახავს, რომ, სამში თუ არა, ოთხს ხელის-მოწერში მაინც ერთს ფული არ შემოუტანია. ნომერში ან დეკემბერში მოიწერებინ რედაქციაში წვიგნს, რომ უმორჩილესად გთხოვთ მომავალი

წლის გაზეთი გამოვიგზავნეთ და ხვედრ ფულს „თავის დროზე მიიღებთო.“ რედაქცია დღემდე უგზავნიდა ამ გვარ პირებს გაზეთსა, და ფულს შემდეგი წლის დამლევს მიიღებდა და ან სრულიად არ მიიღებდა.

წელს, მაგალითად, „დროებას“ ექვსასამდე ხელის-მოწერი ჰყავს და ამათში 50 კაცს რედაქცია მუქთად უგზავნის გაზეთსა; დანარჩენს 550 ხელის-მოწერელში მხოლოდ 300 კაცამდე შემოიტანა სრულად გაზეთის ფული; და ამ წლის დამლევამდე რომ კიდევ ასმა ან ას ორმოცდაათმა შემოიტანოს, ისიც კარგი იქნება. დანარჩენი ასის-ას ორმოცდაათის ხელის-მოწერის ფული დაიკარგება. და ასეა მუდამ, ყოველ წელიწადს.

სამწუხაროა, რომ ეს ნიშობა თავიდავე იყო ჩვენს ლიტერატურაში შემოღებული. თუმცა ძნელია და თუმცა უეჭველად ეს დასაკლისი იქნება ამ თავითვე რედაქციისათვის, მაგრამ ჩვენ, შემდეგ კარგათ საქმის წასაყვანად, იძულებული ვართ ერთხელ და სამუდამოთ მოვსპოთ ეს ცუდი ჩვეულება — გაზეთის ნიშობა გაგზავნა.

თუ მიიღებთ მხედველობაში „დროების“ მცირე საშუალებას და წარმოიდგენთ იმ სარგებლობას, რომელიც ბეჯითობითა და მომეტებული ღონის-ძიებით მიეცემა გაზეთსა

და იმის შემწობით თვითონ მკითხველებსა, — მაშინ დაგვეთანხმებით, რომ ჩვენი გადაწყვეტილება საფუძელიანი გადაწყვეტილებაა.

რედაქცია

წასდება გლეხების განთავისუფლება და მიწა-წყლის განაწილებაზე აშხაზეთში

ამ ოთხ წელიწადს შემდეგ აფხაზეთშიდაც მოშორდება უმ ბატონსა და იქაც ჩვენებურ ცხოვრებას წესი შამოვა...

ბატონებს იქ ფული სრულებით არ ეძლევა ხაზინიდან; მართლაც გლეხები იხდიან თავის დასახსნელს და ისიც განრკვევით არის დასახლეებული რა ნაირ გადასახადშიდ რამდენი უნდა გადახადოს. ამ ოთხი წლის შემდეგ გლეხი სრულიად თავისუფალი იქნება და მისი ადგილმკმული მის წმინდა საკუთრებათ დარჩება, აღარავის აღარავფრს მისცემს.

ამ ოთხი წლის განმავლობაში, ეს დამოკიდებულება იქნება გლეხსა და ბატონს შუა: ოთხ კატეგორიით არის დაყოფილი მოსამსახურე პირები; ა) რომელნიც მუდამ ბატონთან მსახურებენ (აშხალა) და არავითარი მოსახლობა არა აქვთ; ესენი თუ არ ისურვებენ ოთხი წლის სამსახურს,

უნდა გადახადონ თავდასახსნელად ხუთი თუმნიდგან (50 მან.) თორმეტ თუმნიდგან (120 მან.), მის შეხედულობით თუ ეინ არის თავ დასახსნელი, ქალი თუ კაცი, ახალგაზდა თუ მოხუცებული. შამწვილი ათ წლის ნაკლე, მოხუცებული კაცი ორმოცდაათ წელზედ და მოხუცებული ქალი ორმოცდა ხუთ წელზედ მეტი თავისუფლათ გადაიან უსასყიდლოთ, არაფერს არ აძლევენ თავის ბატონს. ოთხი წლის სამსახურს ან ამის სამაგიერო ფულის გადახდის შემდეგ, ამ ახალგაზდა ეძლევა ხუთი დესიატინა მიწა სულზედ და ათი წლის განმავლობაში არაფერი გადასახადი არ მოეთხოვება.

მეორე კატეგორიის შეადგენს ახუიუ აფხაზეთში და დელმახორე სამურზაყანოში; ამათ უნდა იმუშაონ ორმოცდაათი დღე ბატონისთვის წელიწადში, გააკეთონ ბატონისას ღამი და მკადი, და დასტოვონ ბატონისას ორი წლის ვადით პატარა ბიჭი ფარეშათ. თუ არ ისურვებენ ამ ნაირათ სამსახურს, ამათაც შეუძლიათ ოთხი წლის გახელამდის, როცა უნდათ, გადახადონ მუშაობისთვის — ოთხ თუმნიდგან — თორმეტ თუმნიდგან; ღამისა და ქადის კეთებისათვის ოთხი თუმანი, და ფარეშისათვის ორი თუმანი. ამ გადასახადის ან ოთხი წლის სამსახურის შემდეგ ყველა ის ადგილები, რაც ეხლა მათ ხელში არის, სრულიად მათ საკუთრებათ დარჩება.

ფელტონი

ქველი ჩინოვნიკის აღსაკება

ღვთისა და თქვენის წყალობით, ბუნებითი ნიჭა დამყვა: ოცის წლის კიდევ არა ვყოფილვარ, რომ სამკლასიანი შკოლა გავთავე; ამას უხვად დავამატე კეთილ შემძენილი ცოდნაც: სმარადლოვის ისტორია, ტუზნეცოვის ლეოღრაფია და მოსტოკოვის ღრამბატკა ზედმოწვევით ვიცოდდი... თავიდაც ბოლომდე წყალივით ჩავევლიდი... მუხლიდამ მუხლამდე სულ-ამოუთქმელად ჩავეკითხავდი ხოლმე.

მართს სიტყვით, ჯეროვანად მომზადებული განმწესდი სასამართლოში.

იქ, იმედი მქონდა ოდესმე თავის გამოჩენის, რადგანაც ვიცოდი, რომ ღვთის სასიამოვნო და უფროსის მოსაწონი სიმდაბლე იმ დროს შეუნიშნავად არ რჩებოდა და მართლაც, ყველას მორჩილი, თვალეში შემჩერე, გაგზავნ-გამოგზავნაში დაუხა-

რებელი, ხან-და-ხან ბრძანების დროს გვარიანი მოხერხებული მასხარაც, მეძალიან მალე ავმალდი და გადავდგი პირველი ბიჯი კეთილ-წარმატებისკენ: დამამტიკეს უფროს მწერლის თანაშემწეთ.

ხუთის წლის შემდეგ დამიპირეს ჩინზედ წარდგენა და კიდევ იმედი მქონდა, რომ ერთს უხეირო შემთხვევას არ მოეკვეცა ფრთები ჩემს მომავალ ბედნიერებისათვის:

მართს დღეს დეჟურნათ ვიყავი სასამართლოში. იქ ჩემს მეტი აღარაინ იყო; მომწვეინა და მივეცი თავი ფიქრს: „როდის იქნება, ვამბობდი, რომ მეც კაცი ვაგებდე? აქ ამ სასამართლოში ყველასა ჰყავს თავის ხელ-ქვეითი!... შეელას შეუძლიან, რომ მისი უფროსისაგან განდობილმა და დატუქსილმა, თვითონაც თავის უმცროსზედ ამოიყაროს გულის ჯავრი და იფიქროს: თუ წელან ჩემს უფროსთან ჰია ვიყავი, ახლა ხომ ამ ჩემ ხელ-ქვეითთან ბობოლა ვარო! და მათ გაიქარვოს თავისი არარაობის ფიქრი...

მე? მე კი აქ ყველაზედ უმცროსი ვარ და ჯავრი ვერავინზედ ამომიყრია!“ და მართლად ვის ენახავდი იმ სასამართლოში ჩემზედ უმცროსს, ჩემს საკბილოს, ვირთხებს (ვირთავე) გარდა?

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, თითქოს გულთმისნები ყოფილიყვნენ, მართლა გამოძვრენ ვირთხები, ზეფხებთან გამიციცილი-გამომიციცილეს; მომივიდა ბრაზი, ესტქვი, თუ ესენიც არათ მაგდებენთქო; ავიდე საწერელი, ესტყორცნე, დავაცილე და ზედ მივასხი კედელზედ მელანი. მაი, მისთანა თქვენს მტერს, მე მაშინ დღე გამოთენდა! თქვენის ბედნიერებით, ნეტავი, ჩემი საკუთარი სისხლი მიმენთხია იმ კედელზედ და მელნით კი არ გამეთხაა!...

მივარდი გარეტებული, დაუწყვე კედელს ცხვირსახოცით, ე. ი. ჩოხის კალთით ხება, ერთხელ-ორჯერ ენაც ავუსე-ჩამოუსვი, მაგრამ მაინც ვერას ვაგებდი.

შენიშნეს მეორეს დღეს, გამოიძიეს, მომავნეს და დამისვეს ფასად: მოძიშალეს წარდგინება!...

მაგრამ, ეჰ, რა გაეწყობა? ხან ასე იქნება და ხან ისე! — ღმერთი სამართლიანია! მოულოდნელმა შემთხვევამ დამჩაგრა, მაგრამ მოულოდნელმავე საქმემ გამაბედნიერა:

მართს დღეს ხაზინაში წავიდა ჩემი სტოლ-ნაჩალნიკი; სტოლის კლიტეკი მე დამიტოვა. მართც ვნახოთ, რომ რალაც მოჰქვირებოდა ჩვენს ბობოლა-უფროსს და მოადგა ჩვენს სტოლს. — მანდ საიდუმლო ქაღალდი რომ არის, ის მომართვიო! მე, რასაკვირველია, მარდად გამოვწვი სტოლს და მისთანა თქვენ მტერს მე გული გადამიტრიალდა: ფრრრრრრრ! ჰქნეს მწყერებმა და გამოფრინდნენ გუნდათ სტოლიდამა! თურმე სტოლნაჩალნიკს იმ დილას ქრთამათ მოსვლოდა მწყერები და ხელათ იქ ჩამწყვლია. დაიწვეს ფრთხილი იმ შეჩვენებულიებმა კანცელარიაში, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ... დაეტაკენ ჟანჯრებს, კინალამ დაგვიმტვრიეს. წამოაცვიენდნენ ჩინოვნიკები, გამოუდგნენ მწყერებს; ზოგი სტოლზედ შეხტა, ზოგი სკამზედ შეპოტინდა, სხვები



მესამე კატეგორია — ამაღი ურ-
ეგუ აუხანეთში და მოინალე
სამურზაყანოში. მსენიცი იმ პირობით
თავისუფლდებიან, მიწის შესახებ, რო-
გორც მეორე კატეგორიის გლეხები;
მხოლოდ ამ ოთხი წლის განმავა-
ლობაში ზოგმა მათგანმა 3-4 დღე-
მდი უნდა იმუშაოს ბატონის მიწაზე
და ზოგმა 5-6 დღე. თუ ისურვე-
ბენ ამ ოთხი წლის თავის მოშორე-
ბას, მაშინ პირველმა უნდა გაღი-
ლოს ოთხი თუმანი (40 მან.) და
მეორემ რვა (80 მან.).

მეოთხე კატეგორიის შეადგენს აფ-
ხანეთში ან ხაე და სამურზაყანოში
პიოში. ამ ოთხი წლის განმავა-
ლობაში ამათ ეს მოვალეობა უნდა
აასრულონ:

ა) ჩვეულებრივ დროს უნდა მიუ-
ტანონ თავის ბატონს ხორცის ბე-
გარა: ხბო, ძროხის ნაწილი, თხა,
ცხვარი ან ღორი.

ბ) უნდა მოუტანოს ჩვეულებრივი
სიმინდის და

გ) ღვინის ბეგარა.

დ) მიწის მუშაობა ბატონისთვის.
მაგრამ არასოდეს არა სამ დღეზედ
მეტე წელიწადში.

ამათი თავდასახსნელი ფული ის
იქნება, რამდენათაც დაფასდება იმ
წლების გადასახადი, რომლებსთვის-
საც გლეხი იხსნის თავს.

ზადასახდელი ფული როგორც
მოახერხებენ იმ ნაირათ შეუძლიანთ
გადაიხადონ გლეხებმა: მუშაობით,
სხვანაირი საშახურით, ან რაიმე
მოსავლით, მხოლოდ ფულში მიწის
მიცემით კი აკრძალული აქვსთ.

საქმის გადავიღებისათვის კანონი
თავდებობის ნებას აძლევს გლეხებს.

ამ ზეფით მოყვანილ პირებს გარ-
და, ამ გამოცხადებისათანავე განთა-
ვისუფლდებიან ყოველ ნაირი სას-
ყიდელის გაღუბნით:

ა) მათხივე კატეგორიის გლეხი,
თუ ისინი სხვა ვისმეზედ არიან ბა-

ტონისაგან გადაცემული უკანონოდ.

ბ) იმ მებატონეების ნაყმეები,
რომელნიც 1867 წელში გადაესახ-
ლენ.

გ) რუსის ტყეების ცოლ-შვილი.

დ) მზღები და ქალები, რომელ-
ნიც ეხლა ბატონთან არიან.

ე) უკანონო გასხვიშვილებული.

ვ) ბლენები, რომლის ოჯახში მუ-
შა კაცი არ არის.

ზ) ის პირნი, რომელნიც ჩერქე-
ხეთში იყვნენ ტყვეთ წაყვანილი
და დაბრუნდნენ.

ბატონებს ფულის მაგიერათ ორი
დესიატინა მიწა ეძლევათ გლეხზედ.
ამას გარდა გვარიშვილობის შესა-
ფერათ, მათ ეძლევათ კიდევ ოც-და-
ხუთითგან ორას-ორმოც-და-ათ დე-
სიატინამდის, ან მეტიც თუ მართე-
ბლობა ამას ღირსეულად დაინახავს.
ამასთან როგორც გლეხს ისე ბა-
ტონს ერთად ეძლევათ ტყე და მინ-
დარი მათ საოჯახო საჭიროების და-
საკმაყოფილებლათ.

რაც ამ განაწილებას გადაჩეხა
ყველა თავისუფალი ადგილები აფ-
ხანეთში, მართებლობის ხელში და-
ჩრება და როგორც უნდა ისე მოი-
ხმარს მას მართებლობა.

საქმეების გასაწმენდათ — მომრი-
გებელი მოსამართლეები და საგლე-
ხო პრისუტსტვია ისე არის როგორც
სხვაგან საქართველოში; მხოლოდ
იქ ორი აფიცერი არის კანდიდატათ
დანიშნული, რომ საჭიროების დროს
მათ ადასრულონ მომრიგებელი მო-
სამართლის მოვალეობა.

ჩვენ აქ უმთავრესი სუფუძველი
მოგვეყვას მარტო; ვისაც დაწერილი-
ბითა სურს გაიგოს, ამ წლის „Кав-
каз“-ის მე-116 და 117-ში არის
დაბეჭდილი და იქ შეიძლება წაიკით-
ხონ.

— ნი სმეიტე წკიპარტოვათ!...

— რაო? დიღირალო გაკვირებუ-
ლმა ბობოლამ. — იანე სმეიტო?! უ-
ქიტლაყა ამ თქვენს სტოლნაჩალნიკს
და ქუჩაზედ ამოაყოფინა თავი. მო-
მიბრუნდა იქვე და ბრძანა: — მ-გის
ადგილი შენ აასრულე, სანამ არ
დაგამტკიცო!...

მე ამ მოულოდნელმა ბედნიერე-
ბამ თვალეები დამიბნელა, ყურებმა
წვილი დამიწყეს, სიზმარი მეგონა;
ცხვირზედ ვიბწკინე — მეტკინა და მა-
შინ კი მოველი გონზედ და ერთი
კიდევ მივასწარი ბობოლას ხელზედ
კოცნა... ის იყო მაშინ ჩემს თვალ-
ში, რაღაც უმალღესი ქმნილება!...

აქედამ დაიწყო ჩემი ბედნიერება.
ქაქის ქიასავით გამოვიცვალე ძველი
კანი და მოვემზადე... „აბრუნდ-ჩაბ-
რუნდიც“ მალე ვისწავლე.

მართს მაგალითს გეტყვით ამ „აბ-
რუნდისას“: მართხელ ორი მომჩივარი
მომადგა: მტუანმა ცხვარი მომართვა
და მართალმა კი ხმაც არ გამცა.

„დროების“ კორექსიონდენცია

მუთაისი, 20 ენკენისთვის *)

მითქმის ერთი თვე იქნება, რაც
ქართულს ენაზედ გარდათარგმნილი
ბომარშეს კომედია „ვიგაროს ქორ-
წინება“ წარმოადგინეს მუთაისში.
მართი-ორიოდესიტყვა „დროებაში“
იყო დაბეჭდილი ამ წარმოდგინე-
ბაზედ, მაგრამ, რადგან ამ კომედიის
წარმოდგენამ ბევრი ლაპარაკი და
სჯა გამოიწვია მუთაისში ზოგი იმ
პირებთაგან, რომელნიც დასტურ-
თანაუგრძნობენ ქართული თეატრის
საქმეს და ზოგი იმ პირებთაგან, რო-
მელნიც ყოველს საქმეში ეჩხირებიან,
მაგრამ არაფერი კარგი საქმის წარ-
მატების ინტერესი მათ არა აქვს,
ამისათვის მე ვაძჯობინე რამოდენი-
მე სიტყვა ესთქვა ამ წარმოდგენაზედ.
როგორც „დროებაში“ იყო გა-
მოცხადებული, აქ შესდგა პატარა
წრე, რომელმაც დაინიშნა თავის
მიზნად აქაური სცენის გაუმჯობე-
ლობა. მიზანი, როგორც ხედავთ,
არავისთვის არც საშიშარი არის და
არც საწყენი, ამ წრეს თავისი მიზა-
ნი შესრულებული იქნება, როდესაც
ის მუთაისში მოაწყობს ხეირიანს
სცენას, შეიძენს ცოტაოდენს დე-
კორაციებს, მეგელს, ტანისამოსს და
სხვ.

ეს იყო და ეს არის წრის მიზანი
და წრე კიდევაც შეუდგა ამ მიზნის
შესრულებას „ვიგაროს ქორწინე-
ბის“ წარმოდგენით.

მაგრამ საქმის დაწყებისათანავე აუ-
ტყდა მას ერთი ვაი-უბედურება. სა-
ზოგადოთ ჩვენში ყოველი საქმე
ჩხუბით იწყება და თუმცა წრემ ბევ-
რი ეცადა, რომ ეს ჩვეულება არ
განმეორებულყო თეატრის საქმე-
ში, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა.

*) სხვა და სხვა მიზეზს გამო, დღემ-
დი არ გვინდოდა ეს კორექსიონდენცია ჩვენს
გაზეთში დაგვებეჭდა; მაგრამ ახლა, როდესაც
„პაეკაზის“ უკანასკნელ ნომერში ამი-
სთანა ხეპრული შენიშვნა არის დაბეჭდილი
„მუთაისის სცენის მოყვარეთა წრეზედ“ და
წარმოდგენაზედ, ჩვენ საჭიროთ დავინახეთ,
რომ ამ კორექსიონდენციას ადგილი მივსცეთ.

რედ.

მითონ წრე კი ესე, რანაგმად მოქ-
მედებდა ყოველს საქმეში, როგორც
ერთი კაცი, მაგრამ აუტყდნენ ვი-
ლაც ორიოდ ახალ-გამომცხვარი უ-
ფულო პატრიოტები (ვამბობ-უფუ-
ლო მისთვის რომ, ჩემის აზრით,
ამ პატრიოტებს რომ ფულები მის-
ცა, ამდენს ხანს ისინი ოცჯერ დას-
ტოვებდნენ პატრიოტობას და დამ-
პალი თევზის მღაზიას გააღებდნენ),
რომელნიც თავის თავს სომხებს უ-
ძახიან და ჩვენს სომხებად ვიცნობთ
მხოლოდ იმ ნიშნებით, რომ მათი
გვარი თავდება „იანც“-ზედ და ომ-
ხების ტერტერას ხშირად დაყვებიენ.
სხვა ამათი ჩვენ არა ვიცით რა, არ
ვიცით: თუ ვინ არიან, სადაურები
არიან და რა მიმართულების კაცე-
ბი არიან. მართი სიტყვით, ესენი იმი-
სთანა კაცებია, რომელნიც ყოველს
კაცს იცნობენ და იმავე დროს არას
კაცს არ იცნობენ; რომელთაც ყო-
ველი კაცი იცნობს, მაგრამ იმავე
დროს ნამდვილათ კაცი არ იცნობს.

ამ ნაირი პირები გაუჩნდნენ წრეს
მაჩხუბრად; დამდურენ წრეს მის-
თვის, რომ ისინი წრემ არ მოიწვია
მონაწილეთ თეატრის საქმეში. რასა-
კვირველია, ამისთანა კაცებთან წრეს
არ შეეძლო შეამხანაგება პირველად
მისთვის, რომ ჯერ წრე არც კი იც-
ნობდა მათ და თუ იცნობდა, მხო-
ლოდ იმ ნაირად, როგორც მე ზე-
ვით აღვიწერეთ და მეორეთ მის-
თვის, რომ მათ ან სრულიად არ
იციან ქართული ენა, ან და, თუ
იციან, ძალიან ცუდათ (მაგალითად
მათ აფიშაში „Комедия съ дядушкою“
იყო გარდათარგმნილი — „ბი თუ რა
ონი მოუვიდნენ ბიძიას!...) — მაშასა-
დამე წრისთვის ისინი სრულიად გა-
მოუსადეგარნი იქნებოდნენ, კიდევ
რომ შეამხანაგებიათ....

მაგრამ კმარა ამაზედ ლაპარაკი.
ახლა ვიტყვი ამ უკანასკნელის დრო-
ის ორს წარმოდგენაზედ: 1) „ვი-
გაროს ქორწინებაზედ“ და 2) რუ-
სულს წარმოდგენაზედ, რომლის სა-
ხელს ასრე ადვილათ ვერ მოგახსენ-
ებთ, მაგრამ ვეცდები კი აგიწეროთ.

„ვიგაროს ქორწინება“ საზოგა-
დოთ გვარიანათ წარმოსდგა. მაგრამ
ვინც იცის ეს პიესა, იმას კი შეუ-
ძლია წარმოიდგინოს, თუ რა ნაირად

ფანჯრებთან მიცვიდნენ და რო-
გორც იქნა დაიჭირეს მწყურები.

საკვირველი სანახაფი, სასეირო
ამბავი იყო! ქველას გვეცინებოდა,
მაგრამ ვინ ვაბედავდა სიცილოს უფ-
როსთან. ღმერთთან სწორი სჯობს,
იმ ბატონსაც კი გულით ვეცინებოდა,
მაგრამ ჩვენი რცხვენოდა.... ითმინა,
ითმინა და ბოლოს მეტათ რომ ვე-
ლარ შესძლო, მოგვარიდა თავი, მი-
იბრუნა პირი კედლისაკენ და დაიწყო
შიგნით სიცილი; თუმცა ხმა არ
გვესმოდა, მაგრამ ვატყობდით კი,
რადგანაც გვაშს ახირებულად ანძრე-
ვდა. მაშინ კი ჩვენც ვაებედეთ და
ავხარხალდით....

ამასობაში ის უბედური სტოლნა-
ჩალნიკიც დაბრუნდა. მივიდა იმას-
თან გამხიარულებული ბობოლა
და უთხრა: — მე მეგონა, რომ მარ-
ტო თავში გვაედა მწყურები და შენ
სტოლშიაც კი ვყოლია! და ხუმ-
რობით შუბლზედ ერთი წკიპარტიც
მიართყა... იმ თვალ-დამდგარმა სტოლ-
ნაჩალნიკმა არ კი იუკადრისა უფ-
როსის ხუმრობა და მოახსენა:

მუთხარი საქმეს „აბრუნდი“ და და-
ვაჭანაკე. შეუტყვია მართალს, რომ
ვიღუბებო და მოაბდავლა ჩემთან
ქრელი ძროხა! მჰ, რაღა უნდა მექ-
ნა? დავანებე თავი „აბრუნდის“ და
შეუდგე ისე „დაბრუნდის“. არ კი
გავგო მტყუანს: მოვიდა და მკითხა:

— ჩემი ცხვარი რასა იქსო?

— შენ ცხვარს რქა ამოკრა და
გვერდი შეახალა იმ ძროხამ, რო-
მელიც შენმა მომჩივარმა მოგვარ-
თვა.

— მჰ, მაგას ნუ ინებებთ, ღმერ-
თი გადღეგრძელებს, ოღონდ იმ
ცხვარს უაქმეთ და საეკიმო ჩემგან
მიიღეთო! ამოიღო ორი წითელი და
მიჩიჩა ხელში.

ამისთანა ბევრი ბედი მომდგო-
მა კარზედ და მეც წიხლი არ მიკ-
რავს.

მართხელ ბობოლამ ძალიანი საქ-
მე მომანლო და მეც რომ უნდოდა,
ისე წაიყვანე. მეორე დღეს შემხედა
ბობოლა და სიცილით მითხრა:

— მოია პოჩტენიაო! ჯიბეში ხომ
არ ჩაგიტენიაო!? (იმ სულ-განათლე-

ბუღს ლექსებით ლაპარაკი უყვარდა..
რუსთველი სულ ზეპირათ იცოდა).

ჯიბე უჩინე და მოგახსენე!

— მაშე პლალოროდია-თქო! სა-
რიელი როდია-თქო!... მაშინა და
სადილათ დამპატყა. ძალიან მოეწო-
ნა პასუხი!.. ამ შემთხვევამ ფასი მო-
მიმატა ჩემ ამხანაგების თვალში და
ჩემი ჭკვიანობაც დაამტკიცა.

ამ გვარად გაწრთენილმა, წამო-
ვიწყე ხელი, შევიძინე მამულები,
ავაშენე სახლი, გავასესხე ფულები
და ხალხის თვალში გამობოლავე-
ბულს ცამდი ამელო თავი.

მს, რაც აქ საკუთრად ჩემზედ მო-
გახსენეთ, შეეხება იმ ჩემ ამხანაგებ-
საც, რომელნიც ჩემ დროს მსახუ-
რებდნენ. მიკავით ყველანი ბედნიერი
და დიდებული დიდხანს, რომ ბო-
ლოს არ წაგვეწარებოდა.

ამ, თხუთმეტი ოცი წლის წინეთ
გაჩნდენ ჩვენში წვეროსნები, უცხო
ქვეყნიდამ დაბრუნებულები. ჩვენ
დიდხანს ვუცდიდით მათგან ვიზიტს,
მაგრამ ბოლოს, რომ ხმაც არ გავე-
ცეს, ჩვენ გულმა აღარ მოგვითმინა,

გაუჭრდებოდათ აქურ სცენის მოყვარეთ იმის წარმოდგენა ჩვენს სცენაზედ. მომქმედი პირების სიმრავლე, მრავალ გვარი დახლართული სცენები, ათას ნაირი ორპროვანი სიტყვები და ოხუნჯობა, უიქველია, მოითხოვდა, როგორც კარგს და დახელოვნებულს აქტიორებს, აგრეთვე დიდს და განუწყვეტელს პუბლიკის ყურადღებას და მოთმინებას, და მე დარწმუნებული ვარ, რომ, როგორც წარმომადგენლები სკდინოვოდენ წარმოდგენას, ისრე მაყურებლებსაც რომ ეცადნათ პიესის თვალის დევნება და დაკვირვება, მაშინ, უეჭველია, „ვიგაროს შორწინება“ ერთი-ორად მეტს შთაბეჭდილებას მოახდენდა მაყურებლებზედ. მისაც გულით სურდა, რომ პიესის წარმოდგენა ცუდათ წასულიყო, ისინი ლაპარაკობდნენ, რომ წარმოდგენა ცუდათ მიდისო და ვინც კი იმ აზრით მოვიდა თეატრში, რომ პიესა ენახა, ისინი კი იმ აზრის იყვნენ, რომ „ვიგაროს შორწინების“ წარმოდგენა ჯერ ჯერობით მუთათისის საზოგადოებისათვის აღრეაო.

პირველ ამათგანს ჩვენ არაფერს მიუგებთ, რადგან მათი უზრდლოობა და უგუნჯობა ძლიერ აშკარია, მისთვის რომ ღირდეს მათი ხმის გამოცემა.

მეორეებს ჩვენ საჭიროთ ვსთვლით მოვახსენოთ, რომ თუმცა „ვიგაროს შორწინების“ ყურის დევნა და მოსმენა მუთათისის საზოგადოებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ შეუჩვევლია თეატრს, დასტურ ძნელია, მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს ნებას, რომ მუთათისის საზოგადოებას, რომელსაც ძლიერ უყვარს თეატრი, ყოველს წელიწადს ძალა-უნებურად უყურონ იმისთანა პიესების წარმოდგენა, როგორც „ძატა აწონა“, „შინ-მაჩინის ქული“ და სხვ. ამისთანები. მე ვფიქრობ, დრო არის, რომ მუთათისის საზოგადოებამ შეეჩვიოს იმისთანა პიესების ნახვას და გაგონებას, რომელთაც შეუძლიან რაიმე გონიერი შთაბეჭდილება მოახდინოს მსმენელზედ; დრო არის მუთათისის საზოგადოებამ გაიგოს, რომ თეატრს აქვს განმანათლებელი მნიშვნელობა და არ უყურებდეს მას ისთე, როგორც მასხრობას; და ეს კი შეიძლება, ჩემის ფიქრით, მხოლოდ მაშინ, როცა კარგი და გონიერი პიესები დაიჭერენ იმ მასხრული პიესების ადგილს, რომელნიც თავის პარაპეტებით და ბალუსტ პოდსიხებით აცნებენ და აღრიალებენ მხოლოდ იმისთანა პირებს, რომელნიც მისთვის მოდიან თეატრში, რომ მაინც და მაინც ბევრი იციონ.

აი, ამ მოსაზრებით იყო წარმოდგენილი „ვიგაროს შორწინება“ და არა სხვა პიესა.

პარგათ წარმოდგენის თავიანთი როლები მაკ. ვასილიევის ქალმა და ალ. მრეველოვის ქალმა. პირველი ამათგანი არდგენდა პაქის—ჭერუბინას როლს და მეორე — სუხეტას—ვიგაროს საცოლოს როლს. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ რეპეტიციებზედ ესენი ბევრად უკვეთესად თამაშობდნენ, ვინემ თითონ წარმოდგენაზედ. ძაცების როლებში მართო ერთი ვიგაროს როლი იყო უმთავრესი და უფ. ჭეიშილიმა გვარიანათ წარმოდგინა და ბევრად უკვეთ წარმოდგენდა, რომ როლი ცოტა უკეთ სცოდნოდა. ჩვენის აზრით, წარმოდგენა ბოძარშეს კომედიისა არ იყო არც ურიგო და არც უდროვო. საზოგადო აზრი კი ბევრში ეწინააღმდეგება ჩემს იზრს ამ შემთხვევაში.

ახლა ვსთქვით რამოდენიმე სიტყვა რუსულს წარმოდგენაზედ, რომლის შემოსავალი დანიშნული იყო სომხების საქლო შკოლისთვის. იყო წარმოდგენილი ორი ეოდველი; ორივე კარგათ წარმოდგინეს, თუმცა ორივე უაზრო იყო. პარგათ ათამაშა თავისი როლი ალ. მრეველოვის ქალმა, მაგრამ ჩვენ რომ ამის თამაშისთვის გვიყურებია, არ ვეჭვდულობთ, რომ თუ მას მოენდომებინა, შეეძლო ბევრად უკეთესად წარმოდგენა თავისი როლი. აგრეთვე კარგათ წარმოდგინა თავისი როლი უ ბებუთოვმა და საქები იყო ბიძის როლში (Комедия съ дядушкой) უფ. ძოლჩანოვი თავის მოსამსახურით, რომლის გვარი მე აღარ მახსამს. არც ბარხუდარიანცს უჭირდა რამე ურიის როლში, რომ არ გარდაეჭარბებინა. საზოგადოთ მისი ღრეკვა ჩვენ ძლიერ გვაკინებდა, მაგრამ ტანის ღრეკასთან სიტყვებიც რომ არ დაეღრიკა ისთე, რომ რასაც ლაპარაკობდა, იმის გაგება შეეძლებოდა, მაშინ უკეთესი იქნებოდა. ამ წარმოდგენაში იყო კიდევ სიმღერა რუსულის გიმნისა (Боже царя храни) და ესეც კარგათ იმღერეს. ანტრაქტების დროს ეოდველის კუბლეტებს უკრავდა უფ. ჭილაევისაგან შერდგენილი ორკესტრი, რომელმაც საქებრად დაუკრა რამოდენიმე პიესები ოპერებისაგან.

მათავდა წარმოდგენა დიდის ამბით და ვაი-ვახლანით. მაშხალები ძლიერ მოგვეწონა და მართალი უნდა ვსთქვათ, რომ უფ. ბაიკაზოვს, რომელმაც მოაწყო ეს მაშხალები, არ დაეზოგა არც ხარჯი და არც ჯაფა.

მაშხალების გათავების დროს ბარე ორჯერ ზარბაზნიც დაგვახალეს და მერმეთ დაიწყო ტანცი-მანცი, რომელიც, როგორც ამბობდნენ, გაგრძელდა დილის ოთხ საათამდის.

ამნაირად გათავდა სპექტაკლი სომხების საქლო შკოლის სასარგებლოდ; უმთავრესი მიზანი ამ წარმოდგენის მოთავებისა იყო ის, რომ, რაც შეიძლებოდა მეტი ფული შემოსულიყო, რადგან შემოსავალი შკოლისთვის იყო დანიშნული; და მართლაც აქაურს პირობაზედ დიდი შემოსავალი იყო (340 მანეთი. „ვიგაროს შორწინების“ წარმოდგენილამ იყო 120 მან.) ამისთანა შემოსავალი მისთვის იყო, რომ თეატრში მოსვლით ყოველი ნაირ გემოს კაცს შეეძლო მიეღო ცოტა ოდენი კმაყოფილება ან პიესების წარმოდგენით, ან ტანცაობით, ან ზარბაზნის და მაშხალის ცემით და ან მუხიკით და სხვ. შემოსავალი კი კარგი იყო, მაგრამ მაგიერად ხარჯიც დიდი მოსვლიათ.


საზოგადოთ ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ როცა წარმოდგენის შემოსავალი რაიმე კეთილი საქმისთვის არის დანიშნული, მაშინ წარმომადგენლებმა ხარჯში ცოტაოდენი ანგარიში დაიჭირონ.

ამითი ვათავებ ამ ორს წარმოდგენაზედ საუბარს; ამ მოკლე ხანში კიდევ აპირებენ წარმოდგენას სამჯერ—ორჯერ რუსულად და ერთჯერ ქართულად.

ამ დღეებში მუთათისში დააარსეს კლუბი,—ესეც ახალი ამბავი.

რაიცა შეეხება ქალაქის გამგეობას—ჩვენ ჯერ-ჯერობით ამზედ არაფერი არ ვიცით; არც ის ვიცით ნამდვილათ: იქნება მუთათისში ქალაქის გამგეობა, თუ არა...

ანტ. ლორთქიფანიძე



✱ „მურქისტანის უწყებებში“ იწერებინან, რომ გასული აგვისტოს 20-ს რუსის ჯარი დაუბრკოლებლივ შესულა ძოკანში და დაუჭერია ეს ქალაქი. ძოკანის ხანი ნასრ-მდღინი ქალაქის კარებში შემოგებებია ლენგრაღ-ადიუტანტს ჭონ-ძაუჭმანს, ქალაქის გასაღები ჩაუბარებია და თან შებრალება და პატივი უთხოვნია.

✱ მმართველობის განკარგულეობით ამ თვის პირველს პეტერბურღში ისეთი სახლი გაუმართაეთ, სადაც საპრობილიდამ გამოსული ტუსაღები თავს შეიფარავენ ხოლმე, სანამ რასმე საქმეს, სამუშაოს იშოვიდნენ. მს სახლი ორ ეტაჟიანია, ერთში მცირე წლოვანები იღვამებინან და მეორეში სრულწლოვანები. მანზრახვა აქეთ, რომ ამ სახლთან შკოლა გამართონ.

✱ მრთს მდღისს გაზეთში იწერებინან, რომ შარშან ბაქოდამ ერთი მილიონი და ნახევარი ფუთი ლამპის ზეთი გამოზიდეს რუსეთშიო და რადგან მყიდველები არ იყვნენ, ამის გამო ეს ზეთი ძალიან გაიაფდაო, ბევრი გაუყიდველიც დარჩაო და ბაქოს ნავთის ზოგიერთ პატრონებმა დიდი ზარალი ნახესო.

✱ აჯანყებული ბერკოგოვინელების სასარგებლოთ, მარტო Ручский Мир-ის რედაქციას ჯერ-ჯერობით—2,695 მანეთი და 55 კაპ. მოუგროვებია.

✱ პეტერბურღის ერთს საპრობილემში დამწყვედულს პოლიტიკურ დამნაშავეს—ბოგომოლოვს სექტემბრის 28-ს თავის მოკვლა განუზრახავს და რადგან ხელად სხვა იარაღი არა ჰქონია რა, სტაჟანი გაუტეხია და იმით უნდოდა თურმე ყელი გამოეჭრა. მაგრამ ყარაულებმა დროზე შეუტყვეს და გააჩერეს; ყელის გაფხაჭნა მოასწრო და თუმცა ბევრი სისხლი გამოდინდაო, მაგრამ სიკვდილით არა უშავესო.

გვინდოდა შეგვეტყო, თუ რა ჩიტები იყვნენ, და პირ იქით წავედით მათ სანახავათ. იმათ, რასაკვირველია ზდილობიანათ მიგვიდეს; მაგრამ გვიკითხეს კი: რა საქმე გაქვსთო! ახა-ვაგლახ მე! ღახეთ? რა საქმე გაქვსთო? მიუცხოვეთ, გაეჯავრდით. იმათ საცინლად ავიგდეს. ჩვენ გავცხარდით, იმათ გვიკვირნეს! ჰაი იქით, ჰაი აქეთ, ბუზათაც აღარ ჩავაგდეს. ხალხის თვალში დედა-მიწასთან გაგვასწორეს.

ჰე... ახლა კი უნდა მოვიფიქროთ რამეთქო, გადასწყვეტეთ ყველამ ერთად და შეუდგეთ საქმეს...

ხალხს შეევაგონეთ, რომ ეს ახალი კაცები უღმერთოები არიან: არც ნათესაობა იციან, არც ღმერთი სწამთ, არც ხატი, არც ჯვარი და სხვ! რადგანაც ისინი ამ ჩვენს ქცევას

ყურადღებასაც არ აქცევენ, ჯერ ქვედავიჯერა ხალხმა, მაგრამ ბოლოს კი, როდესაც ახალი სამართალი შემოიღეს ჩვენში, სხვებ შეგვექნა საქმე:

მინ გამოდგა ქურდი? მრთი ჩვენგანი! მინ აიღო ქრთამი? ჩვენგანმა! მინ გასტეხა ფიცი? ჩვენგანმა! მინ უარპყო ნათესაობა? ჩვენგანმა! მრთის სიტყვით, ყოველაფერში ჩვენ და ჩვენ!..

ამის შემდეგ ხალხმა, სულ აღარად ჩავაგდო და ვინც აღრე მუხლების ყრით გვევეღრებოდა, ახლა დოინჯებით გვივლის გვერდს.

წაგეხნდა ხრიკები... წაგვანსნეს ლაგამი და მ... შეი... დოოოო... ბითო!.. აი ასე გათავდა ჩვენი ალიან-ჩალიანი!..

რა ვართ ახლა დღეს? აღარც იქით და აღარც აქეთ!.. მშვიდოოო... ბით, ჩვენო ნეტარო წარსულო დროე!.. დღეს ჩვენთვის ყოველი დღე ბნელია, მაგრამ პარასკევი კი უზნელესია: ძველათ ამ დღეს ბაზრობა იცოდნენ, შემოაქონდა ხალხს ბევრი რამ გასასყიდათ და იმაში ჩვენი კერძიც ერია ხოლმე. და ისე გვენატრებოდა ძველ-ჩინოენიკებს პარასკევი, როგორც მღვდელს შაბათი. ახლა ვინღა გვცემს ხმას? საყიდელსაც ვეღარ უშოენულობით: სრული ფასის მიცემა გვეჯავრება და იაფათ კი არ გვაძლევენ... ბეიშრება პირი და ვინც კირისუფალი ხართ, უმჯობესია, საკურთხის ნაცვლად თვითო-ოროლაკალთა ხილი მაინც გამოგვიგზავნოთ

ხოლმე—თქვენის მიცვალებულების სულის სახსენებელათ და ჩვენის გულის დასამშვიდებელათ!...

აკაი

ჩვენ შეუდგეთ მომავალი 1876 წლის „დროშის კალენდრის“ შედგენასა და ამის გამო ეთხოეთ იმ პიროთა, რომელთაც ამ „ძალენდრისთვის“ სალიტერატურო ანუ სხვა გვარი მასალები ექნებათ; რაც შეიძლება მალე მოგვაწოდონ.

მანცხადებანი „ძალენდარში“ დასაბეჭდათ ნოემბრის თხუთმეტამდი მიიღება. მითონ „ძალენდარი“ კი ნოემბრის დამლევს გამოვა.

საქართველო

გაეროლოგიის არქივი

მრთს წმინდის გაზეთში, რომელსაც აშკარათ თათრების მხარე უჭირავს, იწერებოდა, რომ იმ შეტაკების შემდეგ, რომელიც პეკო პავლოვიჩსა და ლიუბობრატოვიჩს ჰქონდათ ქლევის ახლოს თათრებთან, ისინი პოპოვის მინდორში გაბაგრდნენ და ღროვანობაში იქილამ თავს ესხმიან ახლო-მახლო სოფლებში თათრის ჯარებსა; მაგრამ უფრო ხშირად დამარცხებული ბრუნდებიან თავიანთ ბანაკში. ტუსადებს ორივე მხარე ძალიან სატიკად ეპყრობიანო: ლიუბობრატოვიჩს თუ არა ომში, იმწამხვე თავს მოკვებენო, სარზე ჩამოაქვნი და ისე დაატარებენო.

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია სტამბოლიდამ (ოფიციალური წყაროდამ) მიღებული ტელეგრაფი, რომელშიც სწერენ, ვითომც სერვერფაშას შეეტყობინებინოს ოსმალთს მმართველობისათვის, რომ ოქტომბრის 1-ს მრავლად აჯანყებულების 2,000 კაცი სრულდებით დაამარცხა შევეტ-შაშაში. ინსურგენტები ჩერნოგორიაში გაიქცნენ და ბრძოლის ველზედ 160 დახოცილები გაუშვესო. 18 სოფლის განდგომილი ხალხი დაემორჩილა მმართველობასაო.

შეორე მხრით, ინგლისურ გაზეთების კორრესპონდენტები იწერებოდა, რომ თუმცა ლიუბობრატოვიჩი ამ ჟამად ავით არის, აცივსო, მაგრამ მაინც მარჯვით მოქმედობს სახმელრო საქმეებში და დიდი იმედი აქვს, რომ იმათი ამდენი მეცადინეობა და მსხვერპლი მუქთად არ ჩივილისო. ლიუბობრატოვიჩის სიტყვით აჯანყებულების მხრით ჯერ-ჯერობით ათასს კაცზე მომეტებული არ დახოცილა; იმის ხელ-ქვეით ახლა 2,500 კაცამდინაა, რომელნიც დაზამორდება თუ არა, ლეკში აპირებენ დაბანაკებას, რომ შემოდგომაზე ისევე ომიანობა დაიწყოს.

საქარანგაში. პარიჟის გაზეთები აშობენ, რომ წაციონალური პრეზის სხდომები ამ ღვინობისთვის 25-მდინ არ დაიწყებო, რადგან დეპუტატები პროვინციებიდამ არ დაბრუნებულან ჯერო და მანამდინ, უმკველია, ვერც მოიყრიან თავსაო.

შავიწყობა. მრთი ჟენეველი პროფესორის წინადადებით, ყველაზე უფრო გავრცელებულს იქუტის გაზეთს Journal de Genève-ს თავის რედაქციაში დაუწყია ხელის-მოწყობის მიღება ზონისა და ბერცო-

გოვინის აჯანყებულების სასარგებლოდ.

ქრონიკა

ოსმალთს სამართავლო

1323 წლიდამ ვიდრემ 1579 წლამდე სტატია მეორე

1268 წლიდგან ახლანდელ ოსმალეთის საქართველოს მთავრებს ეწოდებოდათ „ათაბაგი“. ეს სახელი იმათ დაარქვეს მონგოლებმა და ეს ტიტული იმათ ჰქონდათ 1579 წლამდე. მაგრამ ამ წლამდე ოსმალთსა სარგებლეს საქართველოს მთავრებისა და მეფეების ერთმანერთში განხეთქილებით: ისრე გაძლიერდნენ სამცხეში, ისრე დაიპყრეს ათაბაგები, რომ იმათ უდიდოთ არ შეეძლოთ მთავრობის მიღება. ამ წელს მანუჩარ მე-II-ს ჯაყელს მისცეს სამცხეს მთავრობა, მაგრამ უბრძანეს, რომ ის ათაბაგად აღარ წოდებულყო, არამედ რქმეოდა სახელი ოსმალურად შაშა. ამის შემდეგ 1580 წელს ოსმალთმა ააშენეს ზორისა და ახალ-ციხის სიმაგრეები; მერმე დაუწყეს მანუჩარის სამცხის კირთება; მაგრამ მანუჩარი წინააღმდეგ იმათ და ძლიერ დაამარცხა, რომლის შედეგიც ის იყო, რომ ოსმალთმა იმას ისევ ათაბაგობა მისცეს და ქრისტიანობის აღვიარების ნებაცა; მაგრამ ოსმალთები მაინც და მაინც ძალიან აწუხებდნენ ქვეყანას. თუმცა ის ძალიან მეცადინეობდა, რომ სამცხე-საათაბაგო მოეყვანა პირველს კარგს მდგომარეობაში, მაგრამ ვერა გააწყრა რა და 1614 წელს მოკვდა.

ამავე წელს გახდა ათაბაგად ამისი შვილი მანუჩარი მე-III. მაგრამ ვაი იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშია იც ათაბაგი იყო. ოსმალთები ქართულს წესებს სცვლიდნენ და შემოჰქონდათ ოსმალური წესები მართველობისა. ამ გვარის კირთების გამო მრავალი ქართველი ზოგნი პატივისათვის თავის ნებით, ზოგნი ოსმალთების მძლავრობით მაჰმადიანდებოდნენ და ათაბაგს აღარ ემორჩილებოდნენ. მანუჩარი ჰჩაგრავდა და არავითარს პატივსა და ღირსებას არ აძლევდა. ამზე ის დასამინეს ხონთქართან. იმან თავი იმართლა, მაგრამ რომ დაბრუნდა, მაშინ იმის ბიძამ ბექაჰ, ოსმალთების ჩაგონებით, საქმელში გარიცა სამსალა და მოჰქლა თავისი ძმის წული; მერმე ოსმალთებმა ის გაამაჰმადინეს, მოსპეს ხელმეორედ ათაბაგობა, მის-

ცეს იმას ფაშობა და 1625 წელს გამოგზავნეს საქართველოში. ამას ქართულად ერქო ბექა, ოსმალურად საფარ-ფაშა. არც ერთს საქართველოს შეილს არ მიუტია მტერთათვის იმოდენა შეწევნა საქართველოს დასამხობად, როგორც ამ კაცს. მათრებს შეუძლიანთ სიტყვან, რომ ეს იყო მაჰმადის მოციქული, რომელმაც სამცხის ქართველობა მოაქცია იმის რჯულზე და შეუერთა ოსმალეთს. ამის მძლავრობისა გამო მრავალმა სამცხის თავადებმა მიიღეს მაჰმადის რჯული და დაიწყეს მიერიღგან თათრობა. რადგან აქაური ეპისკოპოსნი, მღვდელნი და მონასტრების წინამძღვრნი აღარ ემორჩილებოდნენ საქართველოს ქათალიკოსს, ამისათვის რომ ოსმალთებისაგან მიხედნილ ცვლილებისა გამო, სამცხეს აღარა ვითარი კავშირი არა ჰქონდა საქართველოსთან, ამის გამო ოხრდებოდნენ ეკლესია-მონასტრნი და მათ მაგიერ შენდებოდნენ მეჩითები; რომელ ქართველებსაც არ უნდოდათ მაჰმადიანობის მიღება, ისინი მალადენდნენ ხაჭებს, ჯვრებს, და წმინდა ნაწილებს და სახლდებოდნენ სამცხიდგან მართლს, იმერეთს და ქახეთში. ამასობაში ხალხში მრავლდებოდნენ მოღვინე და ღვდლები აკლდებოდნენ. ღვდლის სიკვდილის შემდეგ სხვა აღარაინ სურველობდა ღვდლად კურთხევას, რადგან საფარ-ფაშა ოსმალეთის ნებაზე განაგებდა ქვეყანას და ეკლესიებს მამულები სრულიად ჩამოართვა. ამისა გამო ოსმალთს მიეცა უფლება დანარჩენი ქართველების გაამაჰმადინებისა.

ეს ღვთის გამწყრალი კაცი მართლ სამცხეში არ მოქმედებდა ასრე. მრავალის გუჯრებიდგან სჩანს, რომ ცოტა-ხნობით მჯდარა ფაშად აგრეთვე მოფ შარალაჯს ქახეთში, აქაუშენებოა დიდი ციხე, ჰყოლია მმართველობაში ზაქათალის მახრა და ბევრის აქაურს მცხოვრებლებისათვის, ვისაც მიუტია მუსულმანობა, ბევრბა მიუტია. ამისათვის ამ დროს მრავალი ინგილო გაამაჰმადინებულა. ხალხის გადმონაცემი გვარწმუნებს, რომ იმას გამოურეკნია საინგილოდგან ის ხალხნი, რომელთაც უარი უყვიათ მაჰმადის რჯული და აგრეთვე ღვდლებიცა. ამისა გამო საინგილოშია სრულიად დამხობილი ქრისტიანობა. საინგილოში საფარ-ფაშას სახელი თითქმის ყველა წარჩინებულმა ინგილოს ოჯახმა იცის. ახლა რომ იქ კამისია არის და გვართა ღირსებას ეძიებს, ბევრი სიგე-

ლები და დიპლომები აღმოჩნდნენ. არეთი ღვთის საქართველოსათვის, რომელიც მოიგო შთამამავლობაში სახელი გინებისა და შეჩვენებისა, და 1635 წელს მოკვდა.

ამ მამულის მოღალატობის სამაგალითო კაცისაგან ფაშობის მიღების შემდეგ, სამცხეში სამუდამოდ მოისპო წოდება ათაბაგობისა და დაიწყო სამუდამოდ ფაშობა.

ამის სიკვდილის შემდეგ მოადგილე გახდა იმისი შვილი შუსფ-ფაშა. ეს კაცი მამაზე უფრო მომეტებულიად გულ-მოდგინე მაჰმადიანი იყო. ამან ყველას, ვინც კი იყვნენ დარჩენილი ქრისტიანებად, მიადებინა მუსულმანობა და სრულიად მოსპო ქრისტიანობის ნაშთი, თუკი ის კიდევ სადმე მოიპოვებოდა. მაგრამ უხდა ესტყვით, რომ დედაკაცთაგანს ამ დრომდე არცერთს ჯერ მუსულმანობა არ მიეღო. მაგრამ ეს რომ მოკვდა და მის მაგიერად გახდა ფაშად იმისი შვილი როსტომ-ფაშა, მაშინ მოვიდა სტამბოლიდგან ხონთქრის ბრძანება, რომ ვინც მაჰმადიანებად არიან, იმათ ცოლებმაც უნდა მიიღოს მაჰმადის რჯულიო. ეს ბრძანება უთხრეს როსტომ-ფაშის ცოლს, მაგრამ ის ძალიან დიდ უარზე შედგა. ბრძანება ჩვენ ქართველ ქალებს! იმათი გული ჯერ კიდევ ისრე არ იყო გატეხილი, რომ ამოჰხებოდათ გულიდგან ქართველობისა და რჯულის სიყვარული. ისინი ბევრი სტაჯის უარის ყოფისთვის; როსტომ-ფაშის ცოლი ძალიან დიდს უარზე იდგა, ამისათვის იმას ძალიან სტუქსადენ, მშვიერ-მწყურეალი ჰყვანდა და მწყურეული, გვემადენ, მაგრამ ის მაინც უარს ამბობდა იმათ წადილზე, ის ორჯულ გამოეპართ მტანჯველებს და რომ მაჰმადიანობა არ მიიღოს, თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ ორივეჯერ იმას გაუგეს განზრახვა და დაიჭრეს. ბოლოს უძლური დედათა ბუნება დაემორჩილა მამაკაცების მძლავრობას და ასრე უთხრა: „შეაფუ დაბეგინოთ ყოველთა წარჩინებულთა ცოლთა უწინარეს ჩემსა ძრისტე, მერმე დაუტეო მეცა, შეაფუ არა, ესრედ არცა მე.“ ამ სახელოვან დედა-კაცს ეგონა, რომ სხვა დედანიც იმისათვის მამულისა და რჯულის სიყვარულზე მტკიცენი იქმნებიანო; მაგრამ მოსტყუდა. წარჩინებულების ცოლებს უთხრეს თუ არა, მაშინვე მიიღეს მაჰმადის რჯული. მერმე იმანაც, უღონო ქმნილმა, მიიღო.

(დასასრული შემდეგში)

რ. ზ. ა.	ლილა.		სალამ.		II კ.			III კ.			საქართველო	საქართველო	საქართველო
	მთლიანი	მცირე	მთლიანი	მცირე	მთლიანი	მცირე	მთლიანი	მცირე	მთლიანი	მცირე			
მთლიანი	936	454											
მცირე					68	38							
ზარი	1221	841	2	40	123								
ხაშური	2	1110	3	92	218								
ბეკთაბანი			4	42	246								
შვირილა			5	81	323								
ქუთაისი	823		6	75	375								
სამტრედია			7	73	429								
ახ-სენაკი			8	57	476								
შოთი	1144		9	75	542								
შოთი	840												
ახ-სენაკი			1	18	66								
სამტრედია			2	6	114								
ქუთაისი	1151		3	4	169								
შვირილა			3	98	21								
ბეკთაბანი			5	33	296								
ხაშური	541		1	6	584								
ზარი	723		3	6	736								
მცხეთა				9	85								
მთლიანი	1016		7	24	975								

საქართველო				საქართველო			
ა)	ბ)	გ)	დ)	ე)	ვ)	ზ)	თ)
ა) შოთიდამ:	ბ) სოხუმიდამ:	გ) შოთიდამ:	დ) შოთიდამ:	ე) შოთიდამ:	ვ) შოთიდამ:	ზ) შოთიდამ:	თ) შოთიდამ:
მდესისკენ — ორშაბ. დილის მსაათ.	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთიდამ: I II III	შოთიდამ: I II III	შოთიდამ: I II III	შოთიდამ: I II III	შოთიდამ: I II III	შოთიდამ: I II III
სტამბოლს — კვირაობით დილას.	მდესს — კვირას, გათენებისას.	სოხუმიდამი . 4 3 1	ქერჩამდი . 20 50 15 50 5	შაგანოვო . 34 27 8 60	მდესსამდი . 38 30 9 60		
ბ) სოხუმიდამ:	შოთიდამ: I II III	სოხუმიდამი . 4 3 1	ქერჩამდი . 20 50 15 50 5	შაგანოვო . 34 27 8 60	მდესსამდი . 38 30 9 60		
შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთიდამ: I II III	სოხუმიდამი . 4 3 1	ქერჩამდი . 20 50 15 50 5	შაგანოვო . 34 27 8 60	მდესსამდი . 38 30 9 60		
მდესს — კვირას, გათენებისას.	შოთიდამ: I II III	სოხუმიდამი . 4 3 1	ქერჩამდი . 20 50 15 50 5	შაგანოვო . 34 27 8 60	მდესსამდი . 38 30 9 60		
შოთიდამ: I II III	შოთიდამ: I II III	სოხუმიდამი . 4 3 1	ქერჩამდი . 20 50 15 50 5	შაგანოვო . 34 27 8 60	მდესსამდი . 38 30 9 60		
სოხუმიდამი . 4 3 1	ქერჩამდი . 20 50 15 50 5	შაგანოვო . 34 27 8 60	მდესსამდი . 38 30 9 60				
ქერჩამდი . 20 50 15 50 5	შაგანოვო . 34 27 8 60	მდესსამდი . 38 30 9 60					
შაგანოვო . 34 27 8 60	მდესსამდი . 38 30 9 60						
მდესსამდი . 38 30 9 60							